კვირა, 5 აგვისტო 1907 წ. წელიწადი პირველი — № 171

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: წვეულებრივი შრიფტის პირველ გვერდზე სტრიქონი 15 კაპ. ... «ისარი»-ს რედაქციაში და განცხადებანი მიიღება ... რედაქცია ღიაა ... დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედის ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ იბრუნებს. ... რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ნიკოლოზ ივანეს ძე, ეკატერინე ისაკის ასული კვალიაშვილები და ამათი შვილები ნინა და კლარა (რეალურ სასწავლებლის მოწაფე) გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—დაუვიწყარ და საყვარელი შვილის, ხოლო მეორენი—დის I საქალებო გიმნაზიის VII-ე კლასის მოწაფის

**მარიამისას**

გამოსვენებენ ანჩისხატის ეკლესიაში ორშაბათს, 6 აგვისტოს დილის 9 საათზე საკუთარის სახლიდან, ანჩისხატის ქუჩა, № 3. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—№238—)

თავ. ანემპოდისტე ივანეს ძე და ეკატერინე სოფიო ევარისტეს ასული მახაბლები აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ, რომ რვას ამ აგვისტოს ორშაბათს დ. საწერეში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათის გადაცვალებულის ასულის

**თინათინა წერეთლის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—235—1)

კოლა მიხეილის ძე წერეთელი აუწყებს ნაცნობთა და ნათესავთ, რომ რვას ამ აგვისტოს, ორშაბათს დ. საწერეში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი თავის დაუვიწყარ მეუღლის თინათინ ანემპოდისტეს მახაბლის ასულის წერეთლის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—235—1)

## „ფუნიკულერის" რესტორანში

ყოველ-დღე უკრავს სიმფონიური ორკესტრი, საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე. ა. სანოროს ლოტბარობით. (20—193—13)

ექიმი ი. ვაჩაძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოთი 5—6 სათ. გარდა კვირა დღისა, კირონის და ელისაბედის ქუჩის კუთხეზე, ბარათოვის სახლი № 92. (ფ.—00)

კბილის ექიმი ნინო რსხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 7 საათზე. ვერა, ოლღას ქუჩა № 25. (0—153)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე შინაგანი და ვენერიული. ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოთი 6—8. ხუთშაბათს და შაბათს დილით 9—10 ს. ყირიმის ქუჩა № 14.

ექიმი ვ. ხ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½ ს. კირიჩნის ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი ალ. ხოლოდაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

თვალის ექიმი ზ. შ. ცხვედაძე იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და სად. 5—7. № 51. სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—10)

ქუთაისში ექიმი მაღრიუხოვი

მიიღებს შინაგან, სიფილისით, ვენერიულ ავადმყოფებს და ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—60)

ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა" (№ 76)

აკაკი

**იგავ-არაკები**

კრილოვისა

ახალი, სრული გამოცემა, მრავალი სურათით. წიგნში მოთავსებულია 154 იგავ-არაკი. ფასი 50 კაპ.

იყიდება ყველგან. საწყობი „საზოგადოების" მაღაზიაში. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ Об—ва грамотности. (4—3)

ოდონტოლოგიური კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს. სად. 6—7 ს. ვერაზე ყირიმის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—4)

ჭიათურის საქალებო პროგიმნაზიაში, სადაც ... კლასი გაიხსნება, მოსწავლეთა მიღება დაიწყება პირველ სექტემბრიდან ყველა კლასებში. ... უფროს ათის წლისა. (2—ფ—2)

სამკურნალო

საექიმო ... ექიმების ... ქუჩა, № 3. ... ტელეფონი № 481. ავადმყოფები მიიღება 11-დან 5 საათამდე.

... 2—3 ს.

... ყოველ დღე 2—3 ს.

... 1—3 ს.

... 4—5 ს.

**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

**ექიმი ქალი იოზელიანი**:—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ნევშთრთვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

**გოროდცევი**—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.

**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.

**პივარსკი** კლინიკური ანალიზი.

**ჩუდნოვსკი** ნერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—20)

**იაფად** იყიდება სახლი, 110 ოთხ. საჟ. მიწით, სიმონოვის ქუჩაზე. იკითხეთ ბ. თოიძესთან ბიურო „სატრუდნიკში", დვორცოვოი ქ., სარაჯიშვილის სახლის ეზოში, ტელეფონი № 802. იქვე შეიძლება სახლების ყიდვა ხელმისაწვდენ და შეღავათიანის პირობებით. (3—233—ჳ)

## დაიკარგა

უბის წიგნი, უვადო პასპორტი, ვექსილები და სხვა საბუთების ქაღალდები, სადგურ რიონიდან მიხაილოვამდე. მნახველს **საჩუქრათ 25** მან.

ადრესი: **ახალსენაკში**—ბებითო შალამბერიძეს და **ქუთაისში**—რესტორან „პიათურაში" მიხა ქუთელის.

(2—237—2) ვლადიმერ ხუხუნი.

ქუთაისში

კბილის ექიმმა მახარაშვილმა განაახლა ავადმყოფების მიღება. (5—1)

ფოთის საბუღალტრო

**კურსები**

ქ. ბიბინეიშვილისა.

(წელიწადი მერვე)

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა იწყება 1 ენკენისთვიდან. მსურველთ პროგრამმები გაეგზავნებათ მუქთად. ერთი წლის და ორი თვის განმავლობაში როგორც კაცი, ისე ქალი ღებულობს კურსებზე საფუძვლიანათ სავაჭრო განათლებას როგორც თეორეტიულს, ისე პრაქტიკულს გერმანულ და ინგლისელ სავაჭრო სკოლების სისტემით. (8—6.—2)

**თეატრი და ბაღი „ფუნიკულერი" ორშაბათს, 6 აგვისტოს**

ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ გაიმართება სასეირნო საღამო წარმოდგენით. წარმოდგენილი იქნება:

**სიდედრი მაია**

ვოდ. 1 მოქ. დ. ჩარკვიანისა.

შემდეგ წარმოდგენისა

**ცეკვა**

ბილეთების ფასი 50 კაპ.

6 საათიდან დაუკრავს მუსიკა და ზურნა. დასაწყისი საღამოს 6 საათზე. დასასრული 11 ს. (1—უ.—1)

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი:

**ჩვენი მწერლობა**

სალიტერატურო ქრისტომატია საშუალო სასწავლებელთათვის.

**ნაწ. I: მგოსნები.**

ბიოგრაფიებით და ლექსიკონით.

შედგენილ-გამოცემული

**ს. რ. გორგაძის მიერ.**

ფასი უყდოთ **ათი შაური**. იყიდება „ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა) და შემდგენელთან: ტფილისი, ვერა, არაგვის ქუჩა № 8, ეგაძის სახლი

ფოსტა-ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Арагвинская улица № 8, Сергѣю Романовичу Горгадзе.

ვინც შემდგენლისაგან ერდროულათ ათსა და მეტ ცალს იყიდის, თვითეული წიგნი დაეთმობა **ცხრა შაურად**. წიგნის მაღაზიებს წიგნი ეძლევათ ჩვეულებრივის 20%-ის დათმობით. (10—6.—3)

## ტფილისი, 5 აგვისტო

კავკასიის ნამესტნიკის მიერ განზრახულ რეფორმათა შესახებ რუსული პრესსას ხმა არ ამოუღია. ასეთი სიჩუმე, უეჭველია, აიხსნება იმ საერთო და საზოგადო აპატიით, რომელიც ბოლო ხანს ცხადათ ატყვია რუსეთის საზოგადოებასა და პრესსას. ყველა თითქო მოიღალა დაუცხრომელის ბრძოლით, თითქო სასოწარკვეთილებამა და უიმედობამ შეიპყრო ყველანი. მით უმეტეს უნდობლობით უყურებენ ბიუროკრატიის მოღვაწეობას და გასაკვირველი არაა, თუ ნამესტნიკის კანონ-პროექტიც შეუმჩნეველი დარჩათ. სულ ერთია მაინც არა გამოვა რაო, ფიქრობს ყველა, როცა ბიუროკრატიის რეფორმატორობაზე კაიგონებს რასმეს...

მეორეს მხრით ისიცაა აღსანიშნავი, რომ თვით გამოქვეყნებულს პროექტში არა არის-რა ახალი, რის შესახებაც პრესსას ათასჯერ და ათი ათასჯერ არ ელაპარაკნოს. ერობა, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო, გლეხთა დროებით ვალდებულობის ინსტიტუტის მოსპობა, უმაღლეს სასწავლებლის საჭიროება და სხვა—ყველა ამის საჭიროება კავკასიისთვის არა ერთხელ აღუნიშნავთ გაზეთებში და არა ერთხელ დაწვრილებითი პროექტებიც დაბეჭდილა... მაგრამ არის ერთი რამ ახალი კავკასიის ნამესტნიკის განცხადებაში, რაც, გვეგონა, უყურადღებოდ არ ჩაივლიდა. ჩვენ ვამბობთ იმ მუხლის შესახებ, რომელიც შეეხება კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს გაფართოვებას საზოგადოებრივ ელემენტებით. წინა წერილშიაც აღვნიშნეთ და აქაც ვიმეორებთ, რომ ასეთი იდეა, ასეთი აზრი ერთობ თამამია ბიუროკრატიისთვის და ძნელი მოსალოდნელი იყო მისგან. ეს ახალი „განზრახვა" რუსეთის ბიუროკრატიის ერთ-ერთ წარმომადგენლისა მხოლოდ ერთმა რუსულმა გაზეთმა აღნიშნა, სახელდობრ „სტოლიჩნოე უტრო"-მ და, ჩვენის ფიქრით, ერთობ გააზვიადა მისი მნიშვნელობა. გაზეთი სწერს: „ამ მუხლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რანაირი განგაში ასტეხა მემარჯვენე პრესსამ პოლონეთის კოლოს მიერ მეორე სათათბიროში შეტანილ პოლონეთის ავტონომიის პროექტის გამო! მთელ ქვეყანას ყური გამოუჭედეს პოლონეთის სეპარატიზმზე ყვირილით და ბრძოლის ველზე გამოიტანეს მთელი პატრიოტული არსენალი. პოლონეთის ავტონომია მათთვის ის საფრთხობელა გახდა, რომელიც რუსეთს დაშლას და დარღვევას ემუქრება. ახლა-კი რას ვხედავთ? ბიუროკრატიის ერთმა უდიდესმა ბობოლამ, რომელსაც რუსეთის ერთი დიდი კუთხე აქვს ჩაბარებული, თვითონვე განიზრახა, ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში საზოგადოებრივი ძალები მიიწვიოს და ჩარიოს"...

როგორც ხედავთ, „სტ. უტრო" პოლონეთის ავტონომიას უდარებს კავკასიის ნამესტნიკის პროექტს სანამესტნიკო საბჭოს გაფართოვების შესახებ. ეს ერთობ დიდი გაზვიადებაა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბიუროკრატია ასე შორს ვერ წავა რეფორმატორობის გზაზე. სამწუხაროდ, ახალი პროექტი, როგორც ყოველი საკანონმდებლო აქტი ბიუროკრატიისა, კანცელარიების სიბნელეში შემუშავდა და ჯერ არ ვიცით მისი შინაარსი: მაგრამ ახლაც გადაჭრით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ მას საერთო არა ექნება-რა ავტონომიასთან საზოგადოთ და პოლონეთის ავტონომიასთან განსაკუთრებით.

გამოქვეყნებულ აღნუსხვაში „კავკასიის რეფორმებისა" ამ მუხლის შესახებ სწერია მხოლოდ შემდეგი: გაფართოვება ნამესტნიკთან არსებულის საბჭოში ერობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. აქედან გადაჭრილ აზრის შედგენა ძნელია, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ საქმე სრულიად უბრალოდ აქვთ წარმოდგენილი პროექტის შემდგენელთ; სახელდობრ ისე, რომ გარდა იმ მოხელეებისა და სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულება-უწყებათა წარმომადგენლებისა, რომელნიც მონაწილეობენ ხსენებულ საბჭოში, მიიწვევენ აგრეთვე მომავალ საგუბერნიო ერობათა თავმჯდომარეებს ან წევრებს. არც არჩევა იქნება, არც დიდი წარმომადგენლობა „საზოგადოებრივ ძალთა". თან საბჭოს უფლებანიც არ იქნება გაფართოვებული და მისი როლი დარჩება დღევანდელი: უბრალო ადმინისტრატიული დაწესებულება, რომელსაც რჩევისა და თათბირის უფლება აქვს და ადგილობრივ კანონების „წინასწარი განხილვა" ევალება. რა აქვს საერთო ასეთ დაწესებულებას ავტონომიურ საკანონმდებლო სეიმთან? შეიძლება, ნამესტნიკის განზრახვა უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ გვგონია; მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ სანამესტნიკო საბჭოს უფლებრივ სახალხო წარმომადგენლობად არ გადააქცევენ. გარდა ამისა, მინისტრთა საბჭო, სადაც ეს პროექტები უნდა განიხილონ, სანამ სათათბიროს წარუდგენენ, უთუოდ შეჰკვეცავს და დაამახინჯებს „კავკასიის ავტონომიის" პროექტს. მთავრობა, რომელიც ვერ ჰხედავს შიდა რუსეთის ერობის გადემოკრატებას და მის კომპეტენციის გაფართოებას, როგორ გათამამდება ისე, რომ კავკასიაში შექმნას ფართო თვითმართველობითი დაწესებულება?! ვიმეორებთ, ისიც გასაკვირველია, რომ გაუბედნია, ახალი ელემენტი შეიტანოს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში, თუნდ იმ სახით, რომ საბჭოში მოხელეების გარდა არჩეულ საზოგადო მოღვაწეებს მიიწვევენ.

ნამესტნიკის განზრახვას, ჩვენის ფიქრით, მხოლოდ პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, ხოლო მისი აღსრულება რომ ტლანქი და უხეირო იქნება, ამის თავდებ ა ბიუროკრატიის მოღვაწეობის მთელი წარსული და აწმყო, მისი შემოქმედებითი ნიჭის უბადრუკობა. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ თვით ბიუროკრატია აღიარებს თანამედროვე წესწყობილების სისუსტეს, აწინდელ სამმართველო წესის უვარგისობას და თან რწმუნდება, რომ მართვა-გამგეობის ნორმალური მოწყობა-წარმოებისათვის საზოგადოებრივ ძალთა მონაწილეობა არის საჭირო. მაგრამ ამის აღიარებიდან საქმის წესიერად აღსრულებამდე ერთობ დიდი ნაბიჯია და ბიუროკრატია მის გადადგმას ვერც გაბედავს, ვერც მოახერხებს...

* * *

(ვუძღვნი ვაჟა-ფშაველას).

ისევ ქარ-ბუქმა წაგვლეკოს,
ჩვენ რაც გვქონდეს ბასრი მახვილი,
[illegible]
ყვავ-ყორნის ჩამოძახილი;
ბუ გაჰკიოდეს მუდამ ღამ
ურცხვად თავ-მანდილ ახდილი,
თუმცა მისი ხმა უგვანი
კარგად არ არის დაცდილი;
მგელმა უარ-ჰყოს ღმუილი,
ცხვარს დაეჯავროს ბღავილი,
თაგუნაც გამოცუნცულდეს,
კატას მიჰბაძოს კნავილი;
სვავმა დასწყევლოს სალი კლდე,
იქ არის შობილ-გაზრდილი,
სხვაგან ირჩიოს დიდება
და სალეშაო სადილი;
უმგზავსმა ქოტმა დაჰკრუნოს
თვისი ბუნება ნამდვილი,
თხუნელა მიწით ამოძვრეს,
არწივს შესჭყივლოს ქადილი;—
დეე, მოშორდეს სამშობლოს,
ვისთვისაც ესაა ადვილი,
მისი ღირსებაც ამ ქვეყნად
იქნება მარად ალგვილი!..
არწივსა ჰკითხე, შავი-კლდე
მისია შობის ადგილი,
ის უყვარს, იქ თავს მოიკლავს,
ასეა მისი წადილი.
თორემ ვინ უსმენს ჭილ-ყვავებს,
მადა აქვთ კარგად გახსნილი,
ჩხავიან უგემურადა
პირ-მოშვებული—ახსნილი.
ან ვის უნახავს ქვეყანა
გარყვნილ შვილთ მიერ დახსნილი,
ნეტამცა მოგვშორდებოდეს
მათი ზნე დღემდის გახრწნილი.
ამას და ამბობს ვაჟ-კაცი,
ამ ნახვით ჯავრით აღვსილი:
„შერცხვეს—ვისაც უგუნურებით
თვისი კერა აქვს დავსილი"!..

ხოდ. გ—მე.

## ახალი ამბავი

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. საგუბერნიო საპყრობილეში დაპატიმრებულს ოსმალეთის ქვეშევრდომს ოჰანეზ კარარიანცს, რომელსაც რევოლვერი უპოვნეს, გადაეწყვიტა სამი თვით დაპატიმრება და შემდეგ პერმის გუბერნიაში გადასახლება

სამხედრო წესების მოხსნამდე. სოფ. დოდმის მცხოვრებთ სოლომონ და გიორგი ბერიაშვილებს დიდმის სასოფლო მოსამართლეების შეურაცყოფისთვის სამსახურის ასრულების დროს გადაეწყვიტათ ერთი თვით დაპატიმრება. საგუბერნიო საპყრობილეში დაპატიმრებულ მარტიროს პეტროსოვსა და სარქის არუთინოვს ეკრძალებათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება.

✦ **მატარებელზე დაცემა.** ამას წინად გომსა და ხაშურს შუა, როგორც ვწერდით, 30—40 კაცი თავს დაეცა მატარებელს, რომელშიაც ფული ეგულებოდათ. მეარტელეს 20,000 მანეთი მიჰქონდა. სალდათებმა უცნობები მოიგერეს და დასჭრეს სამი თუ ოთხი კაცი. დაჭრილები ამხანაგებმა სიმინდებში შეიყვანეს და თვითონაც იქ მიიმალნენ. იქვე მახლობლად იპოვეს 3 დიდი ყუმბარა, 2 რევოლვერი, 2 პალტო, 2 ჩოხა და მრავალი მაუზერისა და თოფის პატრონა. დააპატიმრეს რკინის გზის ორი დარაჯი, რომელთაც წითელი ბაირაღები მიუციათ თავდამსხმელთათვის.

✦ **დაპატიმრებული ეპისკოპოსი.** „ნიუ-იორკ ჰერალდი“ იუწყება: ნიუ-იორკში დაუპატიმრებიათ სომხის ეპისკოპოსი მარტუგოლიანცი, რომელსაც მრავალ მკვლელობასა და შანტაჟისტობას აბრალებენ. მას უპოვეს ისეთი ქაღალდები, რომელნიც ცხადად ამტკიცებენ მის დანაშაულსაო. ამ ეპისკოპოსს ოცზე მეტი მკვლელობა ბრალდება.

✦ **გაფიცვა.** გაიფიცნენ ბაქოში რუსეთის საზოგადოების სამრეწველოების მუშები.

✦ **მკვლელობა.** 3 აგვისტოს მოჰკლეს ლიახურის მამასახლისი.

✦ **ის. რამიშვილის საქმე.** პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ სამოსამართლო პალატას გაუმართლებია ისიდორე რამიშვილი, რომელსაც მიტინგებზე სარევოლიუციო აგიტაციის გაწევა ბრალდებოდა.

✦ **ადგილის გამოცვლა.** შავი ქვის ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტის თავმჯდომარედ, სოლოვიოვის მაგივრად, დაინიშნა უფროსი რევიზორი ლინევიჩი. სოლოვიოვი დანიშნეს მიმოსვლის უფროსის მეორე თანაშემწედ.

✦ **ტფ. საფოსტო კანტორა.** ტფ. საფოსტო-სატელეგრაფო კანტორას ორად ჰყოფენ. სატელეგრაფო კანტორა დარჩება ძველ შენობაში, ხოლო საფოსტოს გადაიტანენ ან ოქოევის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე, ან იმ შენობაში, სადაც ეხლა „გრანდ ოტელის სასტუმროა.

✦ **მკვლელობა და დაჭრა.** 2 აგვისტოს, დღის $11^1/_2$ საათზე, სიღნაღის ბულვარზე მოჰკლეს ს. გურჯაანის მცხოვრები სერგო ბეზარაშვილი და დასჭრეს ერთის ტყვიით იმავე სოფლის მცხოვრები გიო ცისკარაშვილი, ეს უკანასკნელი ძმაა დიანოზ ცისკარაშვილისა, რომელიც ციხეში ზის და რომელსაც ჰბრალდება ოდლომიშვილის მოკვლა. ბეზარაშვილი და ცისკარაშვილი დ. ცისკარაშვილის სანახავად ყოფილან ციხეში და უკან დაბრუნებისას მათ თავს დასცემია სამი ახალგაზდა, რომელნიც უკვალოდ მიმალულან.

✦ **გადამდები სენი.** ტფილისში ამ ბოლოს დროს ძლიერ გახშირდა სხვა და სხვა გადამდები სენი. უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში 555 სული გამხდარა ავად ქუნთრუშით, 107 სული—ყვავილით ივლის. ყვავილით 63 კაცამდე გახდა ავად. ქალაქის გადამდებ სენით საავადმყოფოები ისე აივსო, რომ ადგილი აღარ არის.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორი.** ტიმოფეევი დაინიშნა ადგილობრივ ბრიგადის უფროსად.

✦ **ხოლერის მოლოდინში.** ტფ. გუბერნატორმა გუშინ წინ რუსეთში ხოლერის გაჩენის შესახებ ცირკულიარული მიწერილებანი დაუგზავნა მაზრის უფროსებს, ტფ. პოლიცმეისტერს და ქალაქის თვითმართველობებს. გუბერნატორი ავალებს ყველა ამათ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალაქებისა, სოფლებისა და დაბების სასანიტარო საჰიგიენო პირობების გაუმჯობესებას, რისათვისაც ეხლავე უნდა შეუდგნენ საქმეს.

✦ **ფილოქსერა.** ფილოქსერა დუშეთის მაზრის საგურამოს რაიონშიც გაჩენილა. ამ რაიონის 40 სოფელი აქამდე დაცული იყო ამ მხრით.

✦ სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა გუშინ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი ამბავი, ვითომ ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაუკეტოთ ჟურნალი რიჟრაჟი.

✦ ვერის დაღმართზე 3 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე ელექტრონის ტრამვაის ვაგონს ქეშქ ვიღაცას ჩაეგდო პეტარდა; პეტარდა გასქდა, ხალხი შეშინდა.

✦ ავლაბრის ხიდზე ვიღაც შეიარაღებულ კაცს 4 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე დაუჭრია ნახიჩევანის მაზრის მცხოვრები არ. აირაპეტიანცი. დაჭრილი გრძნობა დაკარგული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 3 აგვისტოს, დაიძრა თუ არა სახალხო მატარებელი გორის სადგურიდან, რამდენიმე წუთის შემდეგ დიდის სისწრაფით ისევ შეაყენეს მატარებელი. აღმოჩნდა, რომ ლიახვის ახლოს მჯდარიყო პაწაწა ბავშვი, სამი წლისა, რომლისთვისაც ვაგონის საფეხურს წაეკრა თავში და კინაღამ ქვეშაც მოეყოლებინა. მძიმედ დაშავებული ბავშვი, სისხლში გაზვეული, აიყვანა თავისავე მამამ და იმავე მატარებლით წამოიყვანა ტფილისში მიხეილის საავადმყოფოში.

✦ 3 ივლის, საღამოს რვის ნახევარზე, ერევნის მოედანზე შემდეგი ამბავი მოხდა: გოლოვინის პროსპექტზე ჩამჯდარა ვაგონში ფეხსაცმელების მაღაზიის პატრონი საფაროვი. კონდუქტორს ალისბეროვს ჩვეულებისამებრ მოუხევია ბილეთი და საფაროვსაც მიუცია შაური. როდესაც ვაგონი მოახლოებულა ერევნის მოედანს, საფაროვს დაუძახნია კონდუქტორისთვის: მე მანეთი მოგეცი და რატომ ხურდას არ იძლევი? კონდუქტორი ჯერ გაოცებულა ამ გვარ შეკითხვაზე და შემდეგ უთქვამს: მე ხომ არსად წავსულვარ? ფულიც აქა მაქვს და ბილეთებიც, ვიანგარიშოთ და უკეთუ ამომაჩნდება, ბრალსაც დავიდებ და ხურდასაც მოგართმევო. მაგრამ საფაროვს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და ერთი ქალაქურად შეუკურთხებია. საქმე იქამდე გამწვავებულა, რომ საფაროვს განუძრახავს ხელით შეხება, როდესაც ერევნის მოედანზე ვაგონი გაჩერდა, საფაროვს გამოესარჩლა ვიღაც სამხედრო, ის მივარდა კონდუქტორს და სილა გაარტყა.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ბათუმი,** 3 აგვისტო, საღამო. დეპეშაში გრიგოლ ვოლსკის შესახებ, საბედნიეროდ, შეცდომა შეგვეპარა. ვოლსკი მძიმედ მუცელში დასჭრეს ბულვარის მახლობლად. გრძნობა დაკარგული საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც დიდ ხანს იყო გულწასული. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ დაჭრილი ვოლსკი უკვე გარდაიცვალაო. მაშინვე დეპეშები გაგზავნეს ტფილისს, პეტერბურგს, ქუთაისსა, სურამსა და სხვაგან. სხვათა შორის მეც გამოვგზავნე. ვოლსკის მდგომარეობა ძალიან საშიშოა.

**ბათუმი,** 4 აგვისტო, დილა. გრიგოლ ვოლსკი დღესაც ისევეა, როგორც გუშინ იყო.

## ჭიათურის ასსოციაცია

**შავი ქვის მწარმოებელთა და მისი მნიშვნელობა.**

მთელს კავკასიაში ორი უმთავრესი ცენტრია მრეწველობისა: ბაქო და ჭიათურა. ბაქოში უდიდესი წარმოებაა; იქ მილიონები ასობით ტრიალობს; ათასობით და ათი ათასობით მუშა ფუს-ფუსებს და, შავად გამურული, ლუკმა პურისთვის შრომას ეწევა. იქ ბევრი ინტელიგენტი, ინჟენერიდან დაწყებული უბრალო მეთვალ ყურემდე, ჰპოებს საცხოვრებელ წყაროს და ხან კი სიმდიდრესაც. ბაქოს ნავთის წარმოებას გულის ფანცქალით თვალ-ყურს ადევნებენ როგორც კაპიტალისტნი, ისე მთავრობა, რადგან ბაქოში წარმოების არა თუ დაცემას, შეფერხებასაც-კი დიდი ეკონომიური კრიზისი მოსდევს ხოლმე მთელს რუსეთში. ამ მოსალოდნელ კრიზისის ასაცილებლად დაინტერესებული წრეები, ყოველთვის ხმარობენ მხნე ზომებს გავიხსენოთ უკანასკნელი გაფიცვა ბაქოში და ის ზომები, რაც მთავრობამ მიიღო წარმოების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად. როგორც ვიცით, თითქმის ყველა დიდი აღებ-მიცემობა და წარმოება მთელს რუსეთში უცხოელების ხელშია. ბაქოსაც არ ასცდა ეს ბედი: აქაც ბატონობენ ნობელები, როტშილდები და სხვანი. კერძოდ ქართველნი ბაქოს წარმოებაში სახსენებელნი არ არიან.

სულ სხვას წარმოადგენს ჭიათურა: ის უფრო პაწია მწარმოების მხრით; მილიონები ძალიან იშვიათია. მუშებიც მხოლოდ ათასობით ითვლებიან. ამასთან ჭიათურის წარმოება და მდგომარეობა ისე არ აინტერესებს რუსეთის კაპიტალისტებს და მთავრობას, როგორც ბაქოში, რადგან აქაურ საქმის წარმოების შეფერხებას და მთლად შეჩერებასაც-კი არა აქვს შესამჩნევი ზედგავლენა რუსეთის აღებმიცემობაზე და ფინანსებზე. ჭიათურა მთლად რომ მოკვდეს, ეს გარემოება არ გამოიწვევს სულ მცირე ეკონომიურ კრიზისსაც-კი რუსეთში. ზარალს ნახავს მხოლოდ კავკასიის რკინის გზა და დროებით უადგილოდ დარჩებიან ათიოდე მოხელენი. ჭიათურის შავი-ქვის წარმოების შეფერხება და მთლად შეჩერება სავალალო და საზარალოა მომეტებულად ქართველებისთვის. თუმცა ჭიათურაში ათიოდე უცხოელი კაპიტალისტი, თუმცა მხოლოდ ისინი ატრიალებენ ასი ათასობით ფულს და მომეტებული ნაწილი შავი ქვის მოგებისა მათ ჯიბეში ჩადის, მაგრამ მაინც, თამამად შეგვიძლია ვთქვას, რომ ჭიათურა და ჭიათურის წარმოება ქართული; ქართული ... შეიძლება ასე ითქვას, ქართველების ხელშია, რომ ჭიათურა უმთავრესი ცენტრია ქართველთა წარმოებისა და აღებ-მიცემობისა. ჭიათურის რაიონის მადნები და მათი დამუშავება თითქმის სულ ქართველების ხელშია. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ქართველები ჯერ კიდევ ეკონომიურად სუსტნი არიან, უცხოელ კაპიტალისტებს ვერ უძლავდებიან, რადგან დიდი თანხის უქონლობის მიზეზით იძულებულნი არიან იაფად მიჰყიდონ მათ თავიანთი შრომა, ნახევარ ფასად აძლიონ შავი ქვა. რიცხვი ქართველ მწარმოებელთა დიდია, ძალა კი ჯერ-ჯერობით ცოტა აქვთ, რადგან თითოეული მათგანი კერძოდ მოქმედებს, მარტოხელა, ცუდად შეიარაღებული გამოდის ეკონომიურ ბრძოლის ველზე.

ასე იყო დღემდის. დღეს კი მათ შეიგნეს ძალა ერთობისა და ეკონომიურ სოლიდარობისა. ამ შეგნების ნაყოფია ახლად დაარსებული (დაარსდა 1906 წ.) „ასსოციაცია ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა.“ ამ ასოციაციას აზრადა აქვს ხელი შეუწყოს შავი ქვის წარმოების განვითარებას და გაუმჯობესობას ჭიათურაში, ასწიოს და ვანამკვიდროს მსოფლიო ბაზარზე შავი ქვის ფასი. კერძოდ, ასსოციაცია რჩევას და დარიგებას მისცემს მწარმოებლებს, თუ როგორ გააუმჯობესონ ტეხნიკის მხრით წარმოება, სად და რა ნაირად გაჰყიდონ ქვა, როგორ მოიპოვონ ბაზარი, რა საშუალება იხმარონ, რომ მსხვილმა მწარმოებლებმა, რომელთაც მეტად ხელს უწყობს რკინის გზის მართველობა და სხვა დაწესებულებანი, არ დაჩაგრონ წვრილი და შუათანა მწარმოებლები. ასსოციაცია სცდილობს კეთილი და პატიოსნური განწყობილება დაამყაროს მწარმოებლებს შორის, გამოარკვიოს, გამოასწოროს სადაო საქმეები წევრთა შორის, ამ უკანასკნელთა და მუშათა შორის ასსოციაციას დავალებული აქვს თხოვნითა და შუამდგომლობით მიმართონ მწარმოებელთა საქმის

## ფელეტონი

### ახალი მასწავლებელი

(სოფლის ცხოვრებიდან)

I

მზე დედა-მიწის ნაპირს მიახლოვებოდა. ერთი წუთიც და სრულიად მიეფარებოდა თვალთაგან. დღის სიცხისაგან შეგუბებულ ჰაერს ცაში აბნევდა საღამოს გულის გამაგრილებელი ნიავი. სოფელ №-ს ამწვანებულ და ლამაზ ეზოებში ზღვასავით ღელავდა კონიდარი. დიდ, გადაშლილ კაკლის ხეების ტოტებს შორის უკანასკნელად კიდევ ჩამორბოდნენ ცელქი, არშიყი მზის სხივები, მობიბინე ხავერდოვან მწვანე ბალახს გამაბრუებლის სიკეკლუცით ეხვეოდნენ თავზე, ერთის ადგილიდან მეორეზე გადარბოდნენ, გაჰქროდნენ შორს და იკარგებოდნენ სივრცეში.

„კრახ, კრახ, კრახ?“—ისმოდა ქათმების კრიახი, ტოტიდან ტოტზე გადადიოდნენ და მარჯვე ადგილს ეძებდნენ დასასვენებლად—„კრრრ, კრრრ, კრრრ!—იძახდა ჭრელი კვერთხი. შეყუჩულიყო სახლის გვერდით, თავდაღმა დამხობილ საწნახლის ქვეშ და იქ იწვევდა წიწილებს; ისინიც ზუზუნით მიძვრებოდნენ და ეფარებოდნენ დედას ფრთებს ქვეშ. გზიდან მოისმოდა წკარუნი პატარა ზარებისა, რომელიც ძროხებს ჰქონდათ ყელებზე შებმული. ძუძუებ დავსებული ძროხები მიეშურებოდნენ ბინაზედ, სადაც თავიანთი შვილები ეგულებოდათ.

თხები და ცხვრები დინჯად მოდიოდნენ, ქუჩაში მტვერს აყენებდნენ. პატარა ციკნები და კრავები კუნტრუშით წინ მოუხტოდნენ დედებს და გალაღებული ცელქობდნენ.

ყანის მუშებს აეღოთ ხელი მუშაობაზე, მხრებზე თოხებ გაწყობილნი ეშურებოდნენ შინ, თან საქონელს მოერეკებოდნენ.

ყველა მოძრაობაში იყო, ყველა რამეს აკეთებდა, მხოლოდ გაბრიელ უბანერიძის უფროსი ქალი იჯდა სახლის გვერდით, ქარისაგან გადაზნექილ ლეღვის ძირში და უგულოდ უყურებდა თაბახზე მისეულ ინდოურის ჭუკებს, რომელნიც მოხარშულ ჭინჭარს ჰკეკდნენ, დიდ ლუკმებს ერთი მეორეს პირიდან სტაცებდნენ და სისწრაფით ჰყლაპავდნენ.

დედა იმისი კესარია სახლის წინ დამდგარიყო, წყლიანი ლიტრა ხელში დაეჭირა და გაჰყურებდა ეზოში მიმავალ პატარა რგვალ ძროხას.

— დესმინია, ძლაბო! ვერ ჰხედავ იმ ინდოურს, ჭუკიებს რო შოუჭამა ჭინჭარი?—დაუძახა უეცრად ქალს.

დესპინე შეკრთა, გამოერკვა ფიქრისაგან და შესძახა ხელის აქნევით:

— აქში, აქში, შე ტურისა!..

— ტურამაც შეგჭამა და მგელმაც! შენ ვერ შეხედე და ინდოურს ტურას აქმევ? —მიაძახა დედამ უკმეხად.

—რაია ბეჩა, დედა, ერთი სიტყვა არ ამოგივა პირიდან ტკბილათ, სულ შხამს და ძინწარეს ისვრი!—უთხრა საყვედურით ქალმა და ჯოხით გააცილა დედალი ინდაური ჭუკებს.

—რამდონი შენ დაგვაბერე ტკბილათ შენი დედ მამა და არ მოგვიშხამე სიბერის დღე შენი აჯიდიი ხასიათით, იმდენ სიტკბოს შენც მიიღებ!—უთხრა დედამ, კედლიდან პატარა თოკი ჩამოიღო, ძროხასთან მივიდა და თოკის ბოლო ხბოს მოაბა კისერში, რომელიც, კუნტრუშით გამოქანებული, ისარივით ეცა დედის ძუძუებში და დაუწყო ლონივრად წოვა.

დესპინემ ერთი გულ-საკლავად ამოიკვნესა, ტუჩები მწარედ მოკუმა, თვალებზე მომდგარი ცრემლი წინსაფარის ყურით მოიწმინდა და დაბლა ჩაილაპარაკა: „არაფერია, ბესარიონ: შენ მოწამლე ჩემი სიცოცხლე, მარა როიცმე გადაგიხდი, თუ ქალი ვარ“. მერე დაცლილი თეფშში აართვა ჭუკებს და შეიტანა სახლში.

„ჰრრრ, ჰრრრ, ჰრრრ“,—მოისმა ამდროს მწვანე სიმიდის ჩალით დატვირთულ ურმის ჰრიალი, რომელიც გაბრიელმა ჭისკარს მიაყენა. ურემში ახლად გახედნ..ლი მოზვერი ება და უღელს ხამობდა. გამოქანებული მოზვერი დაეტაკა დახურულ ჭიშკარს და ცოტას გაწყდა ქვეშ არ მოიტანა მოხუცი გაბრიელი, რომელიც, რაც ძალი ჰქონდა, აწვებოდა უღელს უკან და სახრეს ცხვირპირში სცემდა მოზვერს.

— დედაკაცო, აღარ ჰხედავ, კაცს ურემი რომ მომყავს? ვერ გააღებ ჭიშკარს?—დასჭყივლა გაბრაზებულმა გაბრიელმა.

დამფრთხალი კესარია წამოიჭრა ზეზე, ქოთანი ხელიდან დაუვარდა და რაც შიგ რძე იყო, სულ დაღვარა. ჭიშკართან მისვლა ვეღარ მოასწრო: მსწრაფლად გადმოხტა წინ ახალგაზრდა ლავრენტი, თოხი გვერდზედ მიაგდო, მოზვერს ღონივრად ჩასცხო ცხვირში და შეაჩერა.

ბეჩა, რანაირი დაყვირება იცი! გული გამიხეთქე და ე რძეც ქე დამაქცევე, ი ოხერი და მუდრეკი!—უთხრა საყვედურით ქმარს.

— აბა, ვერ გააღებ თვალებს?

ბეჩა, ვერ ხედავდი ძროხას რო ვწველიდი?

— ი ძროხა სადაა, ი ძროხა, იმან ვერ გააღო ჭიშკარი? თუ კრებაზეა?—დაუმატა დაცინვით გაბრიელმა და დანაოჭებული სახე უფრო დაიღმიჭა ზიზღით.

— დაანებე, მამა ჩემო, თავი მა გესლიან ლაპარაკს, საქმეს ვეღარაფელს უშველის მეთქი, რამდონჯერ გთხოვე. —უთხრა ნაწყენის კილოთი ლავრენტიმ მამას.

გაბრიელმა ერთი იმასაც შეაღვირა, მხოლოდ აღარა უთქვამს რა. მიუბრუნდა თორმეტ ცამეტი წლის გოგოს, რომელსაც კაბის ნაფლეთები აქა-იქ დაჰკიდებოდა და მტვრისაგან დაყვითლებული საცვლები მოუჩანდა. დატიტვლებული მადალი წვივებს ეკლებს დაეფხაჭნა და აქა-იქ სისხლსაც ეჩინა თავი. ჩითის პერანგი ეცვა. მოკლე სახელოებიდან და ამოჭრილ გულიდან შავად გამოიყურებოდა მზისაგან დამწვარი მკერდი და მკლავები. თავზე წითელი თავსაფარი გადაეფარიალებინა. თავსაფრის ცალი ყური პირში დაეჭირა, ღეჭავდა და თან შეშინებული მისჩერებოდა მყვირალა მამას.

— ძლაბო, შვილო ლეონინე, დაღალული კი ხარ, მარა გარმოაწყვე მაინც ე ჩალები. იმ ქალბატონს დაუძახე და მოგეხმარება,—უთხრა გაბრიელმა.

— ბაბა, დესმინეს არ შოუძლია ღმერთმანი! მე ვიზამ ერთ ლანდზე!—უთხრა ლეონილამ და მსწრაფლად ურმის წვერს მოევლო.

— არ შოუძლია! მარსელოზას სწავლაც არ შოუძლია?—კიდევ განიმეორა გაბრიელმა დაცინვით.

ლავრენტიმ უსიამოვნოდ გადააფურთხა:

— შენთან არაფერი არ გავა, ისეთი ადამიანი ხარ!—უთხრა მამას და შევიდა სახლში.

დაბინდდა. კესარიას ვახშამი მზადა ჰქონდა. გაბრიელი დერეფანში მიწოლილიყო და ჩიბუხს სწევდა. ლავრენტი სახლის წინ ცვარით დანამულ ბალახზე გაწოლილიყო, ცალ ნიდაყვს დაყრდნობოდა და ცალის ხელით ახლად ამწვანებულს ულვაშს იგრეხდა. სახლს უკან ღობეს მიყრდნობოდა დესპინე და ნაღვლიანად იყურებოდა ბოსტანში. თვითონაც არ იცოდა, რად იდგა იქ და რად ჩასჩერებოდა ბოსტანს.

— დესპინე დაია, მოვალ მეც შენთან, მარტუკი რო გაჩერებულხარ!—ლეონილამ სიყვარულით და ნაზად ხელი წელზე შემოჰხვია.

— მოდი, მერე ვინ გიშლის? მე იმის მეშინია, არ გაგიწყრენ ჩემთან დალაპარაკებიზა, თვარა მე დაგიშლი! ერთი შენ ხარ, რომელსაც არ გძულვარ და მეკარები და შენც არ მოგიკარო?

— ვაიმე, მაშვინ უნდა გამიწყრეს ღმერთი, შენ რო მძულდე. იი კი არა, ღმერთმანი, სული მიმდის სანამდე რამე გამოჩნდებოდეს და ღმერთს სულ იმას ვეხვეწები, ღმერთო შვიდობით გადაარჩინე მეთქი!

— ეხ, ჩემო დაია, კაი იგი იყო, სანამდი გაჩდებოდა, მანაამდი არ მომეწია ცოცხალს, თვარა ახლა რაღა, არც მე მინდა სიკვდილი. აა, დაადევი ხელი.— ლეონინას ხელი აიღო და დაიდო მუცელზე. — გესმის რავა ფართხალობს? ხანდიხან მთელი საათობით უგდებ ყურს მაგის ფართხალს და სულ მავიწყდება მაშვინ მაგის გაჩენის დღე. ასე მგონია, ბედნიერი შვილია მეთქი, და სიყვარულით მევსება გული, მარა რო გამახსენდება, რა ცოდვის ნაყოფია, შემეჯავრება, მერე ისევე ქე შემეცოდება და ასე ვიტანჯები.

— ვაი სულელო, ნურაფრის ჯავრი ნუ გაქ. ისე კარგა წავა საქმე, რომე რო არ გეგონოს... ბესარიონი დღეს ლავრენტისთან არ იყო ყანაში?—სთქვა ლეონინამ.

— რაა?—ჰკითხა საჩქაროდ გაკვირვებულმა დესპინემ და ერთი ნაბიჯით დაიწია უკან.

— დღეს ყანაში მევიდა, ბაბას არ უნახავს, ეძინია. ლავრენტის ერთი საათი ელაპარიკა: „ჩემი ბრალი არ იყო, იმ დროს ისე უნდა მოვქცეულიყავი, სხვაფერ არ მიხერხდებოდა. ახლა ამ საღამოს მამა შენს კაცებს გამოუგზავნი, სიტყვას შამოუთვლი, ხვალე ნიშანს მევიტან და კვირეს ჯვარს დევიწერო. შენ აფერი უთხრა მამა შენსო“, ლოუბარა.

ლეონინა რომ ამას ამბობდა, დესპინეს კინაღამ გული შეუღონდა, დაბარბაცდა და ხარს მოავლო ხელი, რომ არ დავარდნილიყო.

— რაო? იმან კიდევ... —ვეღარ იბრუნებდა სულს.

— დესმინე, შვილო! მოდი აქ, რას გაჩერებულხარ მაქანა... —დაუძახა ... მომდგარმა კესარიამ.

დიდი ხანია დესპინეს ყურებს ... გაეგონა ასეთის სიყვარულით დაყვავებული კილო. სიამოვნებით გული გადაეშალა. ნელა გაუშვა სარს ხელი და წავიდა დედისაკენ. ღია კარებიდან თვალი მოჰკრა, რომ წინ დერეფანში ვიღაცა კაცები ისხდნენ. კაცების დანახვაზე გუ-

გამო რკინის გზის გამგეობას, სამთო უწყებას და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს. იგი თვალყურს უნდა ადევნებდეს, რა მდგომარეობაშია შავი ქვის საქმე საზღვარ გარედ, რამდენად ფასობს, ან როგორ იცვლება ქვის ფასი საზღვარ გარედ და რაზეა დამოკიდებული ფასის ცვალებადობა. ასეთ რთულ საქმეების მუდმივი გამგეობა—მართვისათვის ასსოციაციას აქვს დაარსებული ბიურო, რომელსაც შეადგენენ დირექტორი, ექვსი წევრი და მდივანი...

როგორც ჰხედავთ, საქმე დიდი აქვს ნაკისრი ასოციაციას და თუ პირნათლად გაუძღვა ყველაფერს, თვალსაჩინო სარგებლობას მოუტანს მწარმოებლებს და მთელ მრეწველობას. ვარ...

## პროვინციის ცხოვრება

**სოფ. დიდი-ნეძი** (ზუგდიდის მაზრა). წარსულ საუკუნის მეოთხმოცე წლებიდან უმიწა-წყლო გლეხობა ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან შეესია შავი ზღვის პირას, დაბა ანაკლიის გვერდზე მდებარე დაბურულ ტყეს და გაჩეხა იგი. დასახლდა ექვსასამდე კომლი. მუყაითმა ხალხმა ხელი მიჰყო მიწის შემუშავებას და პირუტყვის გაშენებას. მალე სხვა სოფლებთან შედარებით ახლად დასახლებულთ გვარიანად შეიძინეს ქონება, მით უფრო, რომ უხვი ბუნება მიწისა კარგად აჯილდოებდა მშრომელს. ააშენეს ორ კლასიანი სამინისტრო სკოლა, ეკკლესიები და გახსნა ოცდა ათამდი დუქანი. მაგრამ, როგორც სხვაგან, აქაც მალე გაუჩნდა მუშა ხალხს მტერი—ქურდ-ბაცაცები. ჩრდილოეთით ჩვენს სოფელს საზღვრავენ სოფლები დარჩელი და ვოვი. ეს სოფლები სამეგრელოსა და აბხაზეთში ითვლებიან მოპარულ პირუტყვებთა ბაზრად (ორივე სოფელი მდებარეობს მდინარე ენგურის ნაპირზე სამეგრელოს და სამურზაყანოს საზღვრებში და აქ სცვლიან ქურდები ორივე მხარეზე მოპარულ პირუტყვებს). და აი ამ სოფლების ქურდები არ აძლევდნენ მოსვენებას დიდინეძელებს. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა მიმართა მაზრის უფროსს, რო დაეფარა მეზობელ სოფლების ქურდებისაგან, მაგრამ საქმე მარტო იმით გათავდა, რომ მაზრის უფროსმა გამოგზავნა ბოქაული ერთის წლის განმავლობაში მოპარულ პირუტყვის აღსაწერად. აღმოჩნდა მოპარული ორასამდი ცხენი, კამეჩი და ხარი, გარდა წვრილფეხა ცხოველისა. მაშინ ხალხმა გადასწყვიტა თვითონ დაეფარა თავისი თავი ქურდებისაგან. შეჰფიცეს კიდეც ერთმანეთსა, რომ ერთგულად ედევნათ მტერი. მართლაც 1905 წლის შემდეგ აქაურნი მაგრად უხვდებიან ქურდებს და სამაგიერო პასუხს აძლევენ. სხვათა შორის დიდი შეტაკება მოხდა თორმეტ ივლისს. ხუთი ბერდანებით და რევოლვერით შეიარაღებული კაცი ამ დღეს, დილის რვა საათზე, დაეცა მაქაცარიას მაღაზიას. წაიღეს დიდძალი საქონელი და სულ აიკლეს. გაიგო თუ არა ეს ხალხმა, მდევარი გაუგზავნა ავაზაკებს. ავაზაკებმა თოფები დაუშინეს; ხალხმაც პასუხი გასცა. ხალხს უნდოდა, ცოცხლად დაეჭირა ავაზაკები. სდიეს ორ საათ ნახევარს. ბოლოს ავაზაკები ერთ მოხერხებულ ადგილზე გამაგრდნენ. ასტყდა საშინელი სროლა. თხუთმეტ წამის სროლის შემდეგ ავაზაკებმა დასტოვეს ბრძოლის ველზე ერთი მოკლული და ერთი მძიმედ დაჭრილი ამხანაგი, ორმა დაჰყარა თოფ-იარაღი და დამორჩილდა ხალხს. მხოლოდ მეხუთემ უღალატა ამხანაგებს და მოხერხებულ დროს მოკურცხლა შინისაკენ, მაგრამ ხალხმა მისი ვინაობაც გაიგო. ავაზაკები აღმოჩნდნენ სოფელ ხურჩის (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრებნი; ერთი დაჭერილთაგანი უფროსი ერთად-ერთი შვილი მდიდარ კაცისა და ჰქონია კავშირი „დიდ-კაცობასთან“.

ა—ა.

## ბიბლიოგრაფია

**„ჩვენი მწერლობა“**, I მგოსნები, ბიოგრაფიით და ლექსიკონით შედგენილ-გამოცემული ს. რ. გორგაძის მიერ. ტფილისი 1907 წელსა.

ბევრი იმედი გაგვიცრუა უწყალო რეაქციამ. ზოგი უკვე სასოწარკვეთილებას მიეცა და პობედონოსცევის ბატონობის დროის მობრუნებას მოელის. მაგრამ რაც გინდა მოხდეს, შეუძლებელია სწავლა-განათლების საქმე, საზოგადოდ და კერძოდ ჩვენი სამშობლო ენის შესწავლა ძველებურ დონეზე დარჩეს. გიმნაზიებში სამშობლო ენის სწავლის მაგივრად დაზღანდარობას და სემინარიაში მხოლოდ მარხვან-პარაკლიტონის ნახევარ გაუგებარ სიტყვების კითხვით თავის შექცევას სამუდამოდ უნდა ბოლო მოეღოს. სწავლის საქმე უნდა განახლდეს. ვთქვათ განახლდა ქართული ენის სწავლება და ოფიციალურად გაფართოვდა. ეჭვს გარეშე, რომ ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა გაუცნობლად ენის ხეირიანად შესწავლა შეუძლებელია. ამისათვის კი საჭიროა გვქონდეს რიგიანად შედგენილი ქრისტომატია, რადგან ჯერ ერთი, რომ ყველა მწერალთა ნაწარმოების ერთად თავის მოყრა ძნელი და ხელ მიუწვდომელია და მეორედ მწერლის საუკეთესო ნაწარმოების გამორჩევას და თავ თავისს რიგზე სისტემატიურად დალაგებას განსაკუთრებული ცოდნა და ბევრი დრო უნდა. ჩვენ კი ამ გვარი ქრისტომატია დღემდე არ მოგვეპოვებოდა.

ამ ნაკლის შევსება უტვირთნია და კიდეც შეუსრულებია ბ-ნ ს. გორგაძეს, ზემო აღწერილ სათაურიან წიგნში. უნდა ვაღიაროთ რომ ბ-ნ გორგაძის შრომა სწორედ ჩვენი საშუალო სკოლებისათვის მოსწრებაა. შემდგენელს ეტყობა უშრომნია. ყველა ჩვენი მგოსნების ნაწერები დაკვირვებით გადაუკითხავს. საუკეთესო ადგილები ამოუკრებია, რიგზე დაუწყვია, თითოეულ მწერლის ნაწარმოების მოკლე დახასიათება შეუტანია, გაუგებარი სიტყვები აუხსნია, მოკლე ბიოგრაფიული ცნობებიც მოუთავსებია და წიგნი შედარებით ყველასათვის ხელ-მისაწვდომ ფასად (50 კ.) გამოუცია. შრომას ეტყობა საქმის ცოდნა და გულ-მოდგინეობა.

წიგნი განიყოფება ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მოთავსებულია 128 პოეტური ნაწარმოები მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მგოსნებისა. ყველაზე მეტი ადგილი ამ ნაწილში დათმობილი აქვს აკაკის. წიგნში მოთავსებულია აკაკის 32 სხვა და სხვა პოეტური ნაწარმოები. შემდეგ მისდევს ილია ჭავჭავაძე—24 ნაწარმოები, რ. ერისთავი—16, იროდიონ ევდოშვილი—11, ვაჟა-ფშაველა—7, ნ. ბარათაშვილი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები ხუთ-ხუთი და ალ. ჭავჭავაძე—4. გარდა ამისა საზოგადო ჯგუფში მოთავსებულია თითო-ოროლა საუკეთესო ნაწარმოები ა. ფურცელაძისა, მამია გურიელისა, შ. მღვიმელისა, ი. ნხ—ისა, გრ. აბაშიძისა, თ. რაზიკაშვილისა, დ. თომაშვილისა, სილოვანისა, ცადხელისა, განდეგილისა, მაჲაშვილისა და გ—ძეს ლექსებისა.

ჭავჭავაძისა და აკაკის ლექსები შემდგენელს ოთხ ჯგუფად გაუყვია. პირველში მოუთავსებია ისეთი ლექსები, სადაც სჩანს პოეტი, როგორც კერძო ადამიანი, მგოსანი მოქალაქე და მგოსანი მამულიშვილი. მეორე ჯგუფში—ლექსები, რომელიც ეხება სამშობლო მხარეს, მის აწმყოს, წარსულს და მომავალს, მესამე ჯგუფში მოუთავსებია ლექსები, რომელშიაც გამოყვანილია მშრომელი ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, ხოლო მეოთხე ჯგუფში ისეთი ლექსები, სადაც გამოხატულია ცხოვრების იდეალი, მამულიშვილობა და ქალის მაღალი მოწოდება. ასეთი დაყოფა, მოსწავლეს ხელს შეუწყობს იქონიოს პოეტზედ სრული და გარკვეული წარმოდგენა.

წიგნის მეორე ნაწილში მოთავსებულია ნიმუშები ძველის მწერლების (XII—XVIII) ნაწარმოებთა: შავთელისა, ჩახრუხაძისა, რუსთველისა, თეიმურაზ I-ისა, არჩილ მეფისა, იოსებ ტბილელისა, დავ. გურამიშვილისა და ბეს. გაბაშვილისა (ბესიკი).

წიგნი გიმნაზიის უფროს (V, VI, VII და VIII) კლასებისთვისაა დანიშნული და მისი საჭიროება უფრო ნათლად გამოჩნდება მაშინ, თუ ქართული ენის სწავლება საშუალო სასწავლებლებში დაკანონდა, თანახმად ქარ. მასწავლებელთა მიერ შემუშავებულ პროგრამისა. ცხოვრება და პრაქტიკა გამოაჩენს წიგნის ავ-კარგიანობას და ამაზე აქ მეტ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

არ შეგვიძლიან ერთი ორი მცირე შენიშვნაც არ გავუკეთოთ

ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ შემდგენელთ ზოგიერთი ტაეპები გრ. ორბელიანის ლექსისა „საღამო გამოსალმებისა“ გამოეტოვებინა, მეტის მეტად გადაჭარბებულია, სამაგიეროდ მისივე „სადღეგრძელო“-ში შეენარჩუნებინა გამოტოვებული ტაეპები. ლირიკული შინაც და აზრიც უკეთ გასაგები ექმნებოდა. არა უშავდა რა თამარ მეფის „სადღეგრძელო“-ც თავიდან ამოეღო. იგივ „სადღეგრძელო“-ს მე XI და XII ნაწილს ემჯობინება კერძო სათაური ჰქონდეს. წინაპართ მოხსენებასთან, „რა არის ჩვენი სიცოცხლე“, ან „ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდის ფერადა შეღება“, ყურს რაღაც სხვა ლექსად ეჩვენება. სასურველი იყო აგრეთვე ძველი მწერლობის ნიმუშები უფრო მეტი მოეყვანა და შავთელ ჩახრუხაძის ნაწარმოებზე ცოტა რამ მეტიც ეთქვა. განსაკუთრებით საჭირო იყო დავით გურამიშვილის ლექსების უფრო მეტი ნიმუშები. გურამიშვილი საძირკველია იმ მწერლობისა, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნეში გაჩნდნენ. ენა მისი შეუდარებელია. მან ჭეშმარიტად მისცა წმიდა „ნაციონალური კილო“ ქართულ მწერლობას. ამიტომ საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობა უფრო ვრცლად გაეცნოს იმის ნაწარმოებს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### რუსეთში.

3 აგვისტო.

**ეკატერინოდარი.** აღმოაჩინეს საიდუმლო ბინა რევოლიუციონერებისა. წაიღეს ჰექტოგრაფი, პროკლამაციები და სხვა დოკუმენტები და რევოლვერები. სამი კაცი დააპატიმრეს. ტერმიუკში ქალაქს გარედ მირიაევის მაღაზიაში სამი შეიარაღებული კაცი შევიდა. ანარქისტები ვართო, სთქვეს და ფული მოითხოვეს. მირიაევი დასჭრეს და მიიმალნენ.

**პენზა.** სოფ. კამენკაში შვიდმა შეიარაღებულმა კაცმა გაძარცვა საარყე დუქანი. წაიღეს 220 მანეთი. ორი მათგანი დაიჭირეს და ფულის ერთი ნაწილიც უპოვნეს. დანარჩენთ მდევარი დააყოლეს.

**პოლტავა.** საგლეხო ბანკმა გლეხებს მიჰყიდა 38 მამული, ზომით 30,438 დესეტინა. მიწის მომწესრიგებელმა კომისიამ დაჰყიდა 81 მამული, ზომით 50,790 დესეტინა.

**იაროსლავი.** რიბინსკში ავად გახდა მდ. ვოლგის ქვემო მხრიდან ბლინსკას პირუთით მოსული ვიღაც კუზმინი, რომელიც მეორე დღეს გარდაიცვალა. მასთან ჩამოსული მისი დედაც 2 აგვისტოს გარდაიცვალა. კუზმინი და მისი დედა გასჭრეს და ხოლერა აღმოაჩნდა.

**ოდესა.** ხერსონის დაღმართში გიმნაზიელმა მძიმედ დასჭრა ერთი პოლიციელი.

**ტომსკი.** 2 აგვისტოს ღამე ქუჩაში სასიკვდილოდ დასჭრეს დანით ერთი პოლიციელი. დამნაშავე შეიპყრეს.

**ვარშავა.** რეიმარის ქუჩაზე მეწაღის სახლში ვიღაც უცნობს ყუმბარა დაედო. ყუმბარა აფეთქდა.

**კამენეც-პოდოლსკი.** სტროევსკის მაზრაში სოკოლოვსკის მამულის მოურავს თავს დაესხნენ. მოსამსახურე ქალი და ორი დარაჯი მოჰკლეს.

**ვარშავა.** 31 ივლისს ვორონცოვის ქუჩაზე დაჭრილი «ოხრანნი» განყოფილების აგენტი მოკვდა. მოკლული აღმოჩნდა [illegible] სამხედრო [illegible] თავდამსხმის მომწყობი.

4 აგვისტო

**პეტერბურგი.** ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად შემდეგი ზომები მიიღეს: ვლადიმირის გუბერნატორმა საერობო და საქალაქო გამგეობებს წინადადება მისცა, მიიღონ ხოლერის გავრცელების წი-

---

ლი მოიწყდა, უნდოდა დაბრუნება, მაგრამ დამორჩილდა იმ მოსიყვარულე ხმას, რომლითაც დედა ეძახდა, და როგორც იყო შევიდა სახლში.

### II

რვა-ცხრა თვის წინად სოფლად ხმა გავარდა: ბესარიონ თამარაძე ჩამოსულა, სკოლა გაუხსნია, ქალსა და კაცს ყველას ამზადებს ახალ თაობისათვისაო. ბესარიონ თამარაძის ოჯახი შორს არ იყო გაბრიელისაგან. იგი ერთი ვერსის მანძილზე ესახლა. მშობლები, გასათხოვარი დები და ოთხი დაოჯახებული ძმა ჰყავდა. ძმები სხვა და სხვა ქალაქში იყვნენ გაბნეულნი. ისინი თავიანთ თავს პროლეტარებად სთვლიდნენ, თუმცა როცა რომელისამე ქარხანაში მუშაობა შესწყდებოდა და ხალხი გარედ რჩებოდა, ისინი სოფლად ბრუნდებოდნენ ოჯახში, სადაც მშობლები ახვედრებდათ წლის საკვებს სარჩოს, ძროხას, ხარს, ურიცხვ წვრილფეხ საქონელს, დახურულ ქერს და ამ რიგად წელში გაწყვეტილ დღიურ მუშებს შეეძლოთ, სიცხიან დღეში ჩრდილ ქვეშ მოესვენათ. ხოლო ავდარში თბილ მუხარს მოსხდომოდნენ.

ბესარიონი ბათუმში მუშაობდა, რვა წელიწადი იქ იყო, უქმე დღეებში ჩამოდიოდა, სოფელში სტუმარი იყო და ყველა პატივის ცემით ეკიდებოდა. იმ წელიწადს ბათუმში დაიკეტა ფაბრიკა-ქარხნები, ათასობით დარჩა მუშა ქუჩაში გამოგდებული, იმათ რიცხვში ერია ბესარიონიც. დიდ ხანს აღარ უცდია იქ, ჩამოვიდა სოფელში, ჩამოვიდა და მიჰყო კიდეც ხელი ახალ მუშაობას. ხშირად ნახავდით კვირა-უქმე დღეებში, წირვის დროს, ცაცხვის მაღალ ფესოებზე შემდგარი როგორ ურჩევდა ხალხს: „ესე უნდა მოვიქცეთ და ესე, მტერს არ უნდა დავეჩაგვრინოთ, ჩვენს მტრებს თავადაზნაურობას, სამღვდელოებას, ყველას უნდა ჩამოვართვათ უფლებები. შევკრათ, შევბოჭოთ და ჩვენ ფეხ ქვეშ დავაგდოთ. ძმობა ერთობა და სიყვარული დავამყაროთო“, ათავებდა ბესარიონი. ახალგაზრდა და მოხუცი, ყველა მას ერტყა. იშვიათად ნახავდით ეკლესიის ღია კარებში ვისმეს შემავალს. მღვდელი და დიაკონი კედლებისათვის კითხულობდნენ ქრისტეს სიტყვებს. ხალხს არ უნდოდა მათი მოსმენა, იგი მეორეს, ახალ მოციქულს უგდებდა ყურს.

საქმე ბევრი ჰქონდა ბესარიონს, მაგრამ დრო კიდევ რჩებოდა. არ იცოდა, ეს დრო რა საქმისთვის მოენდომებინა. დიდის ფიქრის შემდეგ მოიგონა კიდევ ახალი საქმე. ერთი კვირის შემდეგ ბესარიონისას თავს იყრიდა სოფლის ახალგაზრდობა, ქალი და ვაჟი. დასხდებოდნენ, ირგვლივ წრეს შეჰკრავდნენ, ბესარიონი იდგა შუაში და ეწეოდა ლოტბარობას. ბესარიონმა განიზრახა, ახალი სარევოლიუციო ხმები ესწავლებინა ახალგაზრდობისთვის. ახალ საქმეს „მარსელიოზას“ სკოლა უწოდა. ახალგაზრდობა გულის ცემით მიეშურებოდა ბესარიონისაკენ. ახალგაზრდა ქალები ხშირად შუა ღამისას ბრუნდებოდნენ შინ, მაგრამ შიში არ იყო, ძმები და ამხანაგები აცილებდნენ. ბევრის ახალგაზრდის გული დააახლოვა ამ სკოლამ, ბევრი რამ მოხდა, მაგრამ დესპინეს ცხოვრებას სამწუხარო შედეგი მისცა.

ბესარიონს გონებიდან არა შორდებოდა დესპინე, იმისი ლამაზი ჟუჟუნა ცის ფერი თვალები მუდამ დღე ელანდებოდა, თვალ წინ ედგა იმისი ახოვანი მოხდენილი ტანი, რომელსაც მუხლებამდის სცემდა ხუჭუჭა ზაბლის ფერი ნაწნავები. დესპინეც დადიოდა და სწავლობდა მარსელიოზას. არც იმას ეპარებოდა ბესარიონის გულის თქმა. ისიც ფიქრობდა იმაზე, იმედი ჰქონდა, დღეს თუ ხვალ ბესარიონი სთხოვდა ხელს. ჯვარს დაიწერდა და გახდებოდა ბედნიერი მეუღლე საყვარელ ქმრისა. დიდ ხანს არ გაუვლია, ასეც მოხდა: ბესარიონმა გამოუცხადა სიყვარული, პირობა მისცა, რომ შეირთავდა, მხოლოდ ჯერ უნდა მოემზადებია:

— ჯერ ვერ დავიწერთ ჯვარს, ჩემო სიცოცხლევ!—ეუბნებოდა ერთ საღამოს, ბინდისას, როდესაც დიდი გზიდან დესპინეს სახლისკენ შეუხვიეს და ხელი ხელ ჩაკიდებულნი მიდიოდნენ.

— რატო, რატო ვერ დევიწერთ ბესარიონ? რა ვქნა, ღმერთმანი, სახში მაჩხრობენ, თუ ათავებს საქმეს, ქე გაათავოს ბარემ, თვარა მის არე-მარეზე აღარ გაგარუნიებთო, მეუნებიან.

— ახ, დესპინე! მეც ეს მიკლავს გულს, საქმესაც ეს აჩერებს, რომ შენ მომზადებული არა ხარ.

— რას უძახი, ბესარიონო, შენ ამ მომზადებას? კლასში კი არ ვაპირობ შესვლას.

— არა, ცხოვრებაში, ცხოვრებაში მომზადებას გეუბნები, ჩემო სიცოცხლე! შენ ამბობ: სახლში მიჯავრდებიანო. შენი საქმე შენ იცი და არა იმათ. შენ თუ თავისუფალი ადამიანი ხარ? ჯერე ჩვენ ვიცნობთ ერთი მეორეს? არა, სრულებით არა. იქნება ისეთი საძაგელი კაცი ვარ, წაყოლა-კი არა, შეფურთხების ღირსიც ვიყო. ამას დაკვირვება და გაცნობა უნდა, რომ არ მოვსტყუვდე. შენ თუ ჩემი ხასიათი და ზნე დაგიჯდება ჭკუაში, ჯვარს შემდეგაც დავიწერთ. მერე აქ ხო აღარ გაგაჩერებ, ბათუმში უნდა წაგიყვანო, იქ იცი, ათასი ამხანაგი მყავს. ბესარიონმა ცოლი მოიყვანავო, რო გეიგებენ, ყველა ჩვენ დაგვესევა ბუზივით. ჩამოვარდება მსჯელობა, ლაპარაკი, სხვა არა იყოს რა, სირცხვილია კითხვაზე რომ პასუხს ვერ მისცემ. მე რომ ორი სამი თვე კიდევ ვიმეცადინო შენთან, საკმარისად მოგამზადებ და შემდეგ შეგვეძლება ჯვარიც დავიწეროთ.

ბედნიერებით დამთვრალ დესპინეს რა შეეძლო ეთქო ასეთს ჭკვიანურ და წინ დახედულ რჩევაზე? კესარიას, დესპინეს დედას გული ეღირღნებოდა, მოთმინება ეკარგებოდა, მაგრამ დესპინე ყოველთვის ამშვიდებდა ტკბილის ენით. გაბრიელს არ მოსწონდა შვილის ქცევა, ხშირად ყვირილსაც ასტეხდა, მაგრამ ჩქარა ჩაჩუმდებოდა, რადგან ლავრენტის დის მხარე ეჭირა.

### III

არ გაუვლია დიდ ხანს, რომ გაბრიელის ოჯახს უბედურება დაატყდა. დესპინეს რაღაც ცვლილება დაეტყო, გახდა გუნება ნაქცევად, ფეხმძიმობა დაეტყო. ბესარიონს სკოლა დაეხურა, აღარც სიმღერებს სწავლობდა ვინმე და აღარც ახალ თაობისთვის ამზადებდა ვისმეს. გაბრიელმა მიუგზავნა კაცები და შეუთვალა: საქვეყნოთ ნუ გამხდი, გირჩევნია გაათაო საქმე, ბესარიონმა ცივი უარი განაცხადა ჯვარის წერაზე:

— ჯვარს-კი არ დავიწერ და ისე იცხოვროს ჩემთან, თუ უნდა. ბათუმში გამომყვეს და იქ ვაცხოვრებო.

ლავრენტიმ მოუწოდა რამდენსამე კაცს და გამოიწვია სამედიატორო სამართალში. ბესარიონი სამართალში გამოჰყვა და თან სთქვა:

— ჩემი რა ბრალია, ქალი პირ აქეთ არ მაძლევდა მოსვენებას. ქვეყანა მოწამეა, რო ყოველ დღეს ჩემსას დადიოდა... ამას გარდა, აბა წარმომიდგინონ საბუთი, როდის ვპირდებოდი ჯვარის დაწერას.

ლავრენტი გამტყუნდა, როგორც უსაბუთოდ მომჩივარი. გაამართლეს ბესარიონი. ბესარიონი ისევ ისე გამართა წელში, ისევ გამოდიოდა მეზობლებში. მხოლოდ დესპინეს ლანდი აღარავის უნახავს გადაღმა. ერთხანს იყაყანა სოფელმა და შემდეგ ყველამ დავიწყებას მისცა. მხოლოდ გაბრიელის ოჯახმა ვერ მისცა დავიწყებას ეს უბედური შემთხვევა. აუწერელი იყო დესპინეს მდგომარეობა. პირველად რაც გადახდა თავზე, ხომ ის იყო. შემდეგ დედის წყევას, მამის დაცინვას და ყვირილს საზღვარი არა ჰქონდა. მხოლოდ უმცროსი და და ძმა თუ დაელაპარაკებოდნენ ქრისტიანულად. ბესარიონისადმი გრძნობა სულ უმხამავდა ცხოვრებას. დღეს სძულდა, სძულდა გამოუთქმელის სიძულვილით. ეზიზღებოდა თავისი თავი, ეზიზღებოდა ხშირად ჯერეთ დაუნახავი ბავშვიც. ეზიზღებოდა, რადგან შვილი იყო ისეთის უგულო კაცისა, რომელმაც ასე უნამუსოდ მოატყუა და საქვეყნოდ თავი მოსჭრა. ოღონდ იმის გაყოლას ნუ ეტყოდნენ და მზად იყო მთელი სიცოცხლე ქვა ეზიდა ზურგით.

— კი მესმის, დაიო, შენი გულის თქმა, მარა ჯინიზა მინდა გათავდეს საქმე და მერე თუ აღარ შეგეძლება მასთან ცხოვრება, დაანებე თავს და რო სხვა არა, მე გაცხოვრებ—უთხრა ერთხელ ლავრენტიმ.

ბესარიონმა დააპირა სოფლიდან წასვლა, ლავრენტიმ რომ გაიგო, შეუთვალა: „თუ ბიჭი ვარ და ქუდი მახურავს, იაშიკით მოუვა შენს მშობლებს შენი მოჭრილი თავიო“. ბესარიონი შეშინდა. შედეგა. რამდენჯერაც დააპირა წასვლა, ყოველთვის მუქარით იქნა შეჩერებული. შემდეგ ვილაცეებმა რჩევა მისცეს: „არ არის კარგი ასეთი საქმე. გაათავე ბარემ; კარგი გოგოა, რა უშავს! ამას გარდა კიდევ ლავრენტი მყრალი გულის კაცია, რამე უბედურებას შეგამთხვევსო“. ბოლოს გადასწყვიტა: „ჯანდაბამს მისი თავი, ვითხოვ რაც არის, დავაგდებ აქ, წავალ ქალაქში, შემდეგ იქედან სხვაგან წავალ და ბარე ორ დღეს არ მოვეკარებიო“.

ამ განზრახვით მივიდა იმ დღეს ყანაში ლავრენტისთან. ათასი მეზეზით პირი გამოიწყენდა და უთხრა გადაწყვეტით: „საქმე უნდა გავათავოთ“.

### VI

შუა კაცებმა ვახშამი სჭამეს გაბრიელსას, მოილაპარაკეს, აღუთქვეს, რომ ხვალ ნიშანს მოუტანდნენ და წავიდოდნენ. გაბრიელი დარჩა ნასიამოვნები, ლავრენტიმ კიდევ თავისი გაიყვანა, კესარია ხო აღტაცებაში იყო სიხარულით, მხოლოდ ნეონილა მისჩერებოდა მწუხარებით გაყრუებულ დესპინეს.

— არა, დედა, არა, თუ ჩემი დედეი ხარ, ე საქმე მომაცილეთ თავიდან.—ეხვეწებოდა მეორე დილას დესპინე დედას.

— ხომ არ გადირიე, ძლაბო, რას ამბობ? სიხარულით, ცას ხელი მიწვდება რომე მეზობლების ჯინიზა გათავდა ე საქმე, და ახლა რას ამბობ?

— დედა ჩემო, მე იმ კაცთან ვერ ვიცხოვრებ, მძულს, მძულს ესმის თუ არა!

— რა უყოთ მერე, ახლ იქნება ქე გძულს, მარა მერე ქე შეგიყვარდება.

ნაღვდგა ზომები. პოლიციას კი მისწერა, სანიტარული თვალ-ყურის გდება გააძლიეროს. ერობას აზრადა აქვს ხოლერის საბრძოლველად 50,000 მ. სესხი აიღოს. რიაზან-ურალის რკინის გზის ახაზვევ სადგურებთან სანიტარო ადმასრულებელი რაზმები დაყენებულა. ყაზანის გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ ყაზანში საგუბერნიო, ზოლოჩიჩტონოსა და სხვა სამაზრო ქალაქებში სანიტარო კომისიები დაარსებულა. ოდესის ქალაქის გამგეობამ სანიტარო ექიმთა რიცხვი გაამრავლა. ამინებიან ავადმყოფთა დასაწვენ ბარაკებს, თვალ-ყურს ადევნებენ ხურსათის ყიდვა-გაყიდვას. კიევის ქალაქის საბჭომ ხელდა ხელ გამოიღო 6000 მანეთი ბარაკის ასაშენებლად და სანიტარო ექიმების მოსაწვევად.

**მინ. ა.** სარანის საერობო ხმოსნებად აირჩიეს 18 მონარქისტი, 1 კადეტი და 3 ს.-დემოკრატი.

**ხარკოვი.** სამხრეთ რკინის გზების ტაგანაძისა და სიჰამის სადგურებს შუა უცნობი ბოროტ-განმზრახველნი თავს დაესხნენ 94 ნომრის მატარებელს: 9 მგზავრი გასძარცვეს და მატარებლიდან ჩამოაგდეს. ზოგი დაშავდა.

**არხანგელსკი.** უენის ზედამხედველს ესროლეს და დასჭრეს, პოლიციელმა მსროლელი დასჭრა და შეიპყრო.

**ლოძი.** სადამოზე კალმის ქუჩაზე ქების ტყვიით მძიმედ დასჭრეს ერთი მუშა.

**ხლუპინოვკუი.** ქალაქის მახლობლად ტყეში ექვსი კაცი თავს დაესხა ხილუნიცკის ქარხნის მეკანტორეს, რომელსაც ორი სტრაჟნიკი თანხლებით 17,000 მანეთი მიჰქონდა. მეკანტორე დასჭრეს, ერთი სტრაჟნიკი მოჰკლეს, ფული მოიტაცეს.

**პერმი.** 2 აგვისტოს საღამოთი პერმის მაზრის სოფ. მოლოვილიხაში ერთ კაცს სახლში ყუმბარა შეუგდეს. ყუმბარა აფეთქდა და სახლის პატრონის ვაჟი მოჰკლა.

**პეტერბურგი.** მავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია აცხადებს, რომ 1 აგვისტოს ავად გახდა ხოლერით 8 კაცი, მოკვდა ორი. სულ ხნის გაჩენიდან ავად გახდა 142 კაცი, იმათგან გარდაიცვალა 38 კაცი. სტავროპოლის მაზრის სოფ. მელექმინში 24 ივლისიდან პირველ აგვისტომდე 9 კაცი გახდა ავად, 8 გარდაიცვალა. ხიზრანში 1 აგვისტოს ავად გახდა გემით მოსული კაცი. სულ ავად გახდა 31 კაცი, გარდაიცვალა 9 კაცი.

**პავლოგრადი.** ცეცხლმა იმსხვერპლა სასტუმრო «ფრანციას» საკომერციო კლუბი და ხუთი მაღაზია. ზარალი 200,000 მანეთს უდრის,

**ხარაპული.** დღისით ბაიჩანკში სამი ტყვიით დასჭრეს ჟანდარმის როტმისტრი ზასიპკინი.

**პოლტავა.** ქუჩაში მოჰკლეს ერთი პოლიციელი.

**ჩერნიგოვი.** ნოვგოროდ-სევერსკის მაზრის ს. კოსტობობრაში დასჭრეს სოფლის მამასახლისი.

**იამპოლი,** 2 აგვისტოს ღამე მოჰკლეს ქუჩაში მდგომი პოლიციელი. მკვლელნი შეიპყრეს. ისინი ადგილობრივი გლეხი ქურდები აღმოჩნდნენ.

**ხარატოვი.** 2 აგვისტოს ღამე ატკარსკის მაზრაში თავ. ობოლენსკის ხუტორს ვოროზიოვკას თავს დაეცნენ. თავდასხმელნი მოიგერიეს.

**ზასლავლი,** თავ. სანგუშკოს მამულში ს. კრუშევსკის მახლობლად მოჰკლეს ერთი სტრაჟნიკი და სასიკვდილოდ დასჭრეს მეორე. ორივენი ჩერქეზები არიან.

**მოსკოვი.** აღმოაჩინეს დიდი ბრბო, რომელიც სისტემატიურად ძარცვა-გლეჯას ეწეოდა. მათი თანამოაზრე იყო რაუტკოვის მანუფაქტურის ელექტრო-ტეხნიკოსი. ეს ბრბო თავს დასხმია ვაჭარ მარტინოვის სახლს, გაუძარცვავთ მეარტელე, მოუკლავთ მეტრაქტირე და სხ. იმათ განაცხადეს, რომ ს.-დემოკრატები ვართო. დანაშაულშიაც გამოტყდნენ.

4 აგვისტო.

**უცხოეთი**

**ბელფასტი.** გაფიცვა გათავდა. სამუშაოს მიმცემნი დათანხმდნენ ახალ ტარიფით (ნამუშევარის საათის დაგვარად) ანგარიში სგასწორებას.

**ნიუ-იორკი.** გაფიცულთა ერთი ნაწილი მუშაობას შეუდგა. ტელეგრაფის მოქმედება თან და თან აზლდება.

**პრეტორია.** ბოტამ ტრანსვალის საკანონმდებლო კრებაში წინადადება შეიტანა, ცნობილი ბრილიანტი „კულინანი“ ვიყიდოთ და მეფე ედუარდს მიუძღვნათ, ნიშნად ერთგულებისა, რადგან ტრანსვაალს პასუხის მგებელი მთავრობა მიანიჭაო.

**კასაბლანკა.** სამშაბათს 400 ესპანელი სალდათი ნაპირს გადმოსხეს. მარრაკეშიდან ყველა ევროპიელი გავიდა. 100 ევროპიელი მადაგორიდან გავიდა.

— არა, დედა, რავარც ძაღლი არ შემიყვარდება ისე ის...

— სირცხვილ-ნამუსი აღარა გაქ, ძლაბო? ხომ მოგკლავს მამა შენი, მაგი რო უთხრა!—უთხრა დედამ.

— დედა ჩემო! მე უფრო ადვილათ სიკვდილს გადავწყვეტ და იმას კი არ წავყვობი...—უთხრა მტკიცედ დესპინემ.

კესარია შეაკრთო ამ გადაწყვეტილმა პასუხმა, დედის გულმა დაიკვნესა სიკვდილის წარმოდგენაზე. ეხლა იგრძნო, რომ ყოველ სირცხვილს აიტანდა, ოღონდ თავისი შვილი ცოცხალი ჰყოლოდა. სიტყვა არ შეუბრუნებია და პირდაპირ ქმართან წავიდა.

— გაბრიელ, კაია ახლა ეგი, ი ძლაბი რო სასიკვდილოთ იმეტებს თავს და იმას არ წაყვობიო, ამბობს?

— რაი, რაიოოო?!—დაიღრიალა გაბრიელმა:—ისე ხუტარუციზე იყო მარჯვე და წაყოლაკი არ უნდა?

— ღმერთმანი, გაბრიელ, თავს მევიკლავო, ამბობს.

— სსუ, სსუ, კაი, თუ ღმერთი გრწამს, არ გამაგონო, ვინ კითხავს მაგას? ამოსალები ხმა აქვს და ამბობს კიდო რამეს? შენ გოჭი ხომ გყავს დამწყვროული და ქათმები? ი ბოშო ღვინოზე წევიდა და არ მოსულა?

— არა,—უთხრა თვალ გაშტერებით კესარიამ.

— ადექი ზეით და სადილს შოუდექით. იმ კალბატონმა ჩეიცვას და პეტრეი დამალოს ი მუცელი. არ მინდაო, ვინ კითხავს მაგას!—სთქვა გაბრიელმა და გალესილი დანა აიღო ღორის დასაკლავად.—ბა მომეხმარე ახლა, დულარე ხო გაქ..?

— კი,—სთქვა კესარიამ და გაჰყვა უკან.

გუშინდელი სიხარული აღარ ეტყობოდა დედის სახეს. სულ განაბული დესპინე გულის ცემით უგდებდა ყურს მამის ბრძანებას. ისინი გავიდნენ ოთახიდან და დესპინეც მოსცილდა კედელს. მეიდა წაქცეულ ლეღვთან, ჩამოჯდა ზედ და მიეცა ფიქრს.

— შვილო ლეონინე, სადაა დესპინე, დოუძახე! ჩეიცვას, შუადღე წამევიდა

აგერ და ქე მოვლიენ აწი.—უთხრა ხაჭაპურების ცხობაში ოფლ გადადენილმა კესარიამ უმცროს ქალს.

ლეონინა წავიდა და ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა: ფერ დაკარგულს ტუჩები უთრთოდა და გულის კანკალით უთხრა დედას.

— თლათ შამევიარე ყორიფერი და არსად არაა, არც ოთახში, არც ბოსტანში.

— ვენახში იყავი?—ჰკითხა გაფითრებულმა დედამ.

— ყოლგან, ყოლგან ვიყავი...—და წასკდა ქვითინი.

— ვაი, შვილო! დევიღუპე!—დაიძახა კესარიამ, პურის ცომი ხელიდან გააგდო და გიჟივით სახლიდან გაიჭრა.

— გარაგიწყდა გაბრიელა, გარაგიწყდა!—მიაძახა ეზოში მომავალ ქმარს და თმის გლეჯით გავარდა სახლის უკან.

არ გაუვლია ათს წუთს, რომ გაბრიელის ეზოდან გაისმა გულ-შემზარავი კივილი. კიოდა კესარია და იხოკდა გულმკერდს. ჩხაოდა ლეონინა და იგლეჯდა თმებს. გაბრიელი დამდგარიყო და ყვიროდა: „ბაბა, ბაბა, დაგდუპე შვილო“!

ენა ჩავარდნილი ლავრენტი, ძველ ჩანგრეულ ქის პირთან თავზე ედგა სველ დესპინეს უსულო გვამს და მისჩერებოდა ისე, თითქო აღარ სუნთქავსო, ეზო ხალხით ივსებოდა, მაგრამ არავინ კითხულობდა უბედურების მიზეზს.

**V**

ნაშუ ღამევის მესამე საათი იყო. №-ს სადგურის ბაქნის ყარაულს ეძინა. მერისრესაც ჩაეთვლიმა. ყველაფერი სიმყუდროეს და ძილს მოეცვა. არ ეძინა მხოლოდ ერთ მგზავრს. სახეზე ჩამოფარებული, მოუთმენლად დადიოდა იგი აქეთიქით, პაპიროზს ერთი-მეორეზე ათავებდა და გულის ცემით ელოდა მატარებლის გამოჩენას. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელიც მოვიდა. მგზავრი ჩაჯდა და თავისუფლად ამოისუნთქა.

ეს იყო ბესარიონი.

**მარიამ გარიყული.**

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**


## განცხადებანი



მანეთ ნახევარი

**დ ღ ე შ ი**

**და მეტიც იმ კაცებს და ქალებს,** რომელნიც მოისურვებენ შინ მუშაობას მსწრაფლ სახვევ მაშინაზე. ამ მუშაობას მსურველი ხელათვე შეითვისებს, მოუმზადებლად. მასალას ჩვენ ვაძლევთ და მუშაობაში ნაღდათ უსწორდებით. მანძილი არ უშლის. პირობებს უფასოდ ვატყობინებთ.

ადრესი: ცენტრალური კანტორა, ნიკოლოზის ქუჩა, ს. № 9. (100—210—8)

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ფ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანაზოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ბეჟანიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—128)

ტფილისის კბილის საექიმო

**ს კ ო ლ ა**

**ლ. შტრეიხერისა**

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი $2^1/_2$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ზუხ.—32)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

**საჭიროა**

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსათვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—55)

**Нормальное письмо**

ანუ უადრესობა პირდაპირის ხელისა ირიბულის წინაშე,

იაკობ გოგებაშვილისა

ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით დაიბარებს, წიგნაკი დაეთმობა 15 კაპ. (3—2)

გამოვიდა და ისყიდება

**ა. საკუელისა**

ახალი წიგნი

**სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში.**

წიგნი ღირს 20 კ. და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების“ და „Новая Рѣчь“-ის მაღაზ. (0—უ.—17)

# ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენციაა,** იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშერებს რამავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების ალსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „**სპერმატინი**“ შედეგია **პროფ. ბრიუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

«**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენის სასწაულთ-მომქმედ «სპერატინისთვის». 10 წელზე მეტს ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით. იქამდე მივედი, რომ თავის მოკვლა განვიზრახე ერთ წუთს მოსვენება არა მქონდა, ყველაფერი მაბრაზებდა, სულ მცირე რამეც, ყველაფერზე ვტიროდი. „სპერმანის“ ორი ფლაკონის მიღების შემდეგ მხნედ ვიგრძენ თავი, სიმშვიდე მომეფინა, გული დამიმშვიდდა, ძილი და მადა დამიბრუნდა, ერთის სიტყვით—სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივისმცემელი **ნ. ბოსსი.** მოსკოვი, მე-2 მეშჩანსკაია, ს. პოლიაკოვისა, № 11, ბ. № 21. 24 ნოემბერი 1906 წ.».

„**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა“ დიდი შვება მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ს. კიუმენკერ.** 19 აპრილი 1907 წ.“

„ივანოვის „სპერმანტინის“ ლაბორატორიაში („სპერმინი“). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი“ და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადავწყვიტე ვისარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო გამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ს. ნ. ივანოვი.** მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1მაისი 1907 წ.“.

**მ. ხ. ბ. ივანოვ!** მე ვიტანჯებოდი ანემიით და ძალ-ღონის სისუსტით. გადავწყვიტე მესარგებლნა თქვენის „სპერმატინით“. ორის ფლაკონის მიღების შემდეგ უკეთ ვიგრძენ თავი. ვგრძნობ, რომ დაკარგული ენერგია და ღონე მიბრუნდება. გაჰქრა აპატია, მაგრამ კიდევ მსურს განვაგრძო „სპერმატინის“ ხმარება სრულიად მორჩენამდე. გიძღვნით გულწრფელ მადლობას შემწეობისთვის. **მიხეილ პეტრეს ძე გრიგორიევი.**

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპირმანი“ ნ. ნ. ივანოვისა და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეს კი, „სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აურებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორ-ჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. აზობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა, № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (6—212—1)



# ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში**

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО С.-ПЕТЕРБУРГЪ

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ნარდათ შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

**ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი**

**„ლეოპოლდ ნეიშელლერი“**

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული, (100—46)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.